



ქართული სსოვნება

1910 სათავადად სალიცრავტურთ ქურნალი № 21

კ ვ ი რ ა , 3 0 მ ა ი ს ი



ელ. ჩერქეზიშვილი
ხვალინდელი 31 მაისის, წარმოდგენის კამო,
ხუბალაშვილების სახლხო სსსჰა.

- I თ უ ლ ი და ხ ა რ ი ს ხ ი
 - II ს ა კ ო ნ ე ბ ო ბ ო ბ ა ნ ო რ ო ი ლ ო ბ ა
 - III ჯ ა რ ლ ა ი ო ო ო ე ნ ე
 - ==== მ ი რ ი ლ ა მ ო რ ო ი ლ ო მ ე
- ანტრაქტებში საზანდარი. ადგ. ფასი 10 კ. 2 მ.
დის. სალამოს 8 1/2 ს. რეცისორი ვ. ვაშაიძე



№ 21



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. თიფლის. Редакция «Театри да Цховреба»

ოს. Зах. Имедашвили ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდვება. — ხელთნაწერები საქირობესამებრ შესწორდება. რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება 12—2 ს. ტ. 6—7 ს. ტელეფონი № 862

30 მაისი 1910 წ.

მიზეზი ვინ არ იცის, რომ ყოველ მიღა შედეგი. ზეზს თავისი შედეგი აქვს და აწინდელი ჩვენი ცხოვრება წარსულის დასკვნაა, —ლოლიკური, პირდაპირი დასკვნა...

მაგრამ მრავალთათვის ეს ქეშმარიტება საცილობელი გახდა: ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის შედეგს რო ჰხედავენ,—ეს ასე არ უნდა იყოს,—ბრაზობენ და მოვლენის მიზეზს კი არ უყვირდებიან...

ამას წინად ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქნა ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილის ორ-მოქმედებიანი სცენები „აშენდა საქართველო“, ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან, რამაც მთელი აურზაური გამოიწვია დამსწრე საზოგადოების ერთს ნაწილში... განსაკუთრებით ცხარობდა ჩვენი ოფიციალური ინტელიგენცია: საზოგადოება, ცილისწამება, ჩვენი სტუდენტობა ავითი არ არისო, და ვინ იცის, ამ უბრალო სცენების ახალგაზდა ავტორს რა სახელი არ უწოდეს...

ასეთი ადამიანის ბუნება: ყოველთვის უკეთესი ენატრება, სინამდვილის პირუკულმა, ოცნებით განქვრეტა, არ უნდა სინამდვილით წარმოდგინოს, თუ ქუქყანია, ის, რასაც შესტრფის, შენატრის...

და განა შესანატრი არ არის ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობა, ნორჩი ძლი, სტუდენტობა, ის სტუდენტობა, რომელითა უმრავლესობას გროშობით მოვრავილი ფულებითა ვზრდით, რომელთა სამშობლოში დაბრუნებას ცის მანანასავით ვლის ჩვენი ქვეყანა!..

ჩვენ რომ გვესურს—სტუდენტობაც სწო-

რედ იგეთი არისო, —ასეთია ჩვენი ოფიციალური ინტელიგენციის ლოლიკა, მაგრამ ცხოვრების ლოლიკა უფრო მტკიცეა და შეუმცდარი, თუმცა ხშირად მწვავე და სამწუხარო...

ჩვენი სტუდენტობა რომ სწორედ ისეთია, როგორც ფოცხვერაშვილმა დაგვიტურათა ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა დასრულების შემდეგ მომეტებული მათგანნი კარიერისტებად იქცევიან ხოლმე, ინვალიდებად, ანუ ფრჩხილებიან მოღვაწეებად... იშვიათად, თუ რომელიმე მათგანმა გამოიჩინოს ფხა, თვით-აღლოიანობა და ხასიათის სიმტკიცე საზოგადოებრივი ცხოვრების წინ-წაწევაში...

ნუ თუ არა ჰხედავთ ჩვენი ნასტუდენტარების უმეტესობის ქვებუღანობას, ქიდაობით გატაცებას, მუშტი-კრივით „ბრძოლის ტაქტიკის“ წარმოებას, სამშობლო მწიგნობრობის უტოლინარობას, მისს არაარობას?..

ჩვენი სტუდენტობა რომ სწორედ იგეთია, როგორდაც „აშენდა საქართველო“-ს ავტორი და რუსეთის ზოგიერთი კორესპონდენტი გვისურათებს,—ამასაც თავისი ღრმა მიზეზები აქვს: ჩვენი უუფლებობა, თანამედროვე სკოლის ვითარება, გაუკუღმართებული ოჯახი, შშობელ-აღმზრდელთა უპრინციპობა...

მიმოხედეთ ირვლივ, აწყყოსა და წარსულში, და შემდეგ ბრძანეთ, განა შესაძლოა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამისთანა უწყსრივო პირობებს უკეთესის წარმოება შეეძლოს?!

კეთილგონიერი ადამიანი ეცდება უკუღმართი მიზეზების გაუქმებას, მოზარდი თაობის საძირკვლის გამარგვლას, ახალგაზდობის ნია-

3195



დავის გაუმჯობესებას უკეთესი ნაყოფის აღმოსა-
ცენებლად, არა თუ სარკის დამდგმელი ვაკი-
ცხოს.

ასეთივე შემცდარი შეხედულება აქვს ჩვე-
ნი სცენის აწინდელს ვითარებაზე ჩვენებურ
ზოგიერთ სათეატრო მოღვაწეს...

ჩვენი სცენა რომ უკიდურეს კრიზისს გა-
ნიცდის ნივთიერად და ხნიეობრივად, ეს არა
ერთ გზის აღგენიშნავს...

ზოგიერთნი ამის მიზეზებს სხვა და სხვა-
ნაირად ხსნიან და, სხვათა შორის იმ გარე-
მოვებითაც, რომ ჩვენში ანტრეპრიზის დრამ-
საზოგ. გამგეობანი აწარმოებენ, რომ კერძო,
დამოუკიდებელი დასნი უკედ მოაწყობენ საქმეს
და ხელოვნების მოთხოვნილებასაც დაიცა-
ვენო...

პირველის შეხედვით თითქო ყოველივე ეს
მართალია, მაგრამ ასეთი აზრის მიმდევრები
სრულიად ანგარიშს არ უწევენ ისტორიის,
საქართველოს სათეატრო ასპარეზის სიციწრო-
ვესა და ჩვენთა მსახიობთა ინტელექტუალურ
ძალას...

იმ გარემოებამ, რომ ქართული მუღმივი
სცენის მწიწლის არსებობამ მხოლოდ სცენი-
ური ბატონნი შექმნა—ჩაკლა და ჩახშოა ხე-
ლოვნების წინსვლა; ის გარემოება, რომ ჩვე-
ნის სცენის ზოგიერთ კერძს თავის თავის
გარეშე სამშობლო სცენის მომავალი არა
სწამს და კანდიდადაც გიძიხის— ჩემ შემდეგ
ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო, ქართულს სცენას
მოხარდი თობა ვერ შესძღნავს... იმ გარე-
მოვებამ, რომ ეს გაბატონებულნი კერძნი ამა
თუ იმ კომიტეტს ხშირად თავის სტვირზე
ათამაშებდენ, — დაასწულა ქართული სას-
ცენო ხელოვნება... სწორედ ბატონ-კერძთა
მოწყალებით ჩვენს სცენაზე გულციგობისა,
სხვისი არად ჩაგდებისა, სცენის მხოლოდ
საწველფურად გადაქცევის კულტი განმ-
ტკიცდა...

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ვიდრე
კერძთა კულტი არ შეიმუსრება, ჩვენი სას-
ცენო ხელოვნება ფეხქვეშ იქნება ვაქელილი,
შურაცხყოფილი, არარად ქმნილი, სცენიურ
ბატონთა ჟინიანობის მსხვერპლი...

ჩვენ არ გვახსოვს მსახიობთა ამხანაგობას
რ.ილისმე ისეთი წარმოდგენა გაემართოს, რომ

თვითონ ამხანაგურად მორიგებულოცოს და
ხელოვნების დედა აზრიც დაეცვას..

ეს სხვანაირადაც არ შეიძლებოდა.

მსახიობთა თაოსნობას—თვითშეგება უნდა
თეატრის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას—ხელო-
ვნების პატივისცემა, ტალანტთა განვითარებას
—ფართო სამოღვაწეო ასპარეზი, ცოდნა და
მომზადება...

მაშ ნუ თუ წამალი არ არის?

კი, წამალი მოიძებნება, მაგრამ ამ წამლის
აწარსებულნი სახიობა ვერ შექმნის.—ამას უნ-
და სრულიად ახალი ძალი, ახალი მუშაი, ახა-
ლი გზის გაცვლევა...

ამ ახალი ძალის ხელმძღვანელი ვინ იქ-
ნება—კერძო თაოსანი თუ მთელი კრებული,
ეს სულ ერთია. ჩვენის ფიქრით-კი გამგეობა
უნდა იყოს, სრულიად დამოუკიდებელი მსა-
ხიობთა პიროვნების მიმართ უანგარო,
ლოვნების ცოდნით და სიყვარულით აღჭურ-
ვილი, ისეთი გამგეობა, რომელზედაც არა-
ვის არ შეეძლოს რაიმე გავლენის მოხდენა,
ისეთი გამგეობა, რომელსაც უნდა სწამდეს—
რასაც ემსახურება...

რა გზით მიახწევს აღნიშნულ მიზანსა და
როგორია ახალი გზა—ამაზე შემდეგ.

მ თ ა ზ ე ლ

ჩემო გრძნელო! ხელი ჩამკიდე,
ედემს მიმაფრენ, მიწყვეტავ ვარდას!
წადი. დამშორდი!—ტებილი! სიხმარი
ველარ განკურნავს ჩემს წყლულს, ჩემს დარდას.
ჩვენ მთაზედა ვართ. მყუდრო ღამეა.
ცაზედ არა სჩანს მთავრე მწუხარე.
ნეტარის ძილით სძინავს ჩემს სულსა,
შენ-კი ზღვა ხარ, ზღვა, ვნებად მქუხარე!
რადა, რად მაწვდი უკვდავების თასს?—
სული ჯერ ტანჯვით სრულ არ დამტკბარა;
გამომეფხოვე სამარადისოდ.

აწ შენთან ყოფნა აღარ მსურს, არა!

ოჰ, შენ მაკოცე! ვნებად აღგზენ!
არარად მიგანხს ჩვენს ირგვლივ ყველა.
ოჰ, შენ მაკოცე!—მე-კი მეგონა
ჩემს ღაწვეზე მოჰკვდა ნაზი პეპელა.

ბაბილინა

პატარა ფელეტონი



— დილა მშვიდობისა, მამაო დოსითოს!
მისვალმა ერთ მშვენიერ დღეს პრაპორ-
შნიკი მილიციისა რევაზი არქიმანდრიტს.

— ამისთანა მშვიდობა შენს მტერს მისცა
ღმერთმა, მიუგო დოსითოსმა.

— როგორ, მამაო?

— როგორ და ვერაფერს ვერ იტყვი
ჩვენში, რომ სხვამ არ ვერაფერს და საქვეყნოდ
არ გახდეს. რა დავმალო! ქართველები მძულს,
რადგანაც მათ აღარც სარწმუნოება აქვთ,
აღარც სასულიერო წოდების პატივისცემა და,
როცა ერთ ალაგას უფროსი დამეკითხა: თქვენ
მგონია ქართველი უნდა იყოთო, მე ვუპასუხე:
თუმცა სამწუხაროდ გვარი ქართული მაქვს,
მაგრამ მთელი ჩემი სულითა და გულით რუსი
ვარ მეტი. ახლა გუშინ გამომდგარა ის ღვთი-
საგან შეჩვენებული გამართელი და თეატრში
ყვირილი დაუწყია: ბერის ანაფორასა და პრა-
პორშნიკის ეპოლეტებში ქართველი ხშირად
სამშობლოს ჰყიდისო.

— პრაპორშნიკის ეპოლეტებში! აგრე
უთქვამს?

— სწორედ ასე უთქვამს.

— ერთი იმისი თავი ჩამადგებია ხელში
და იმას კი დაფუძოვლებ ენას! არ იცით რა
სახის კაცია?

— ღმერთმა დასწყევლოს და შეაჩვენოს,
ქრისტე მას არა სწამს, ჯვარი და სახარება,—
რათ მიხნდა მისი სახის ცნობა?

— აა! მესმის, რისი მუცლის ტკივილიცა
აქვს. ჯერ ქადაგებდა: თავდების მიწა გლე-
ხებს უნდა დარჩეს მუქთათო, თითქოს ლილა-
ხანა ყოფილიყოს და ახლა რომ ვეღარ აუხდა
თავისი ყბედობა და პირში ჩალა-გამოვლებუ-
ლი დარჩა, ჩვენ გვაბეზღებს: სამშობლოს ჰყი-
დიანო. ვერ მივართვი! ტყუილა უნდოდათ,
არა? ახლა ფულსაც მიძლევენ, მაგრამ ვერ
მივართვი! ჩემი მაშაპაპის სისხლით მორწყულ
ადგილ-მამულზე ჩვენს გლეხებს არ გავახარებ:
დეე, სულ სიმშლით ამოწყდენ! რას დალო-
ნებულხარ, მამაო? რამდენიც უნდათ, იმდენი
იყბედონ და გვაბეზღონ: სამშობლოს ჰყიდიან-

ნო. რის სამშობლო, რა სამშობლო! სამშობ-
ლო მე ფეხებზე მკილია.

— მეც კი ფეხებზემკილია, წარმოსთქვა დო-
სითოსმა, მაგრამ ხმა-მალა ამის ლაპარაკი
მანც ძნელია. რაც უნდა იყოს, ქართველები
ში ვცხოვრობთ და ყველას რომ ვტულდეთ,
არც ის ვარგა.

— იცი რა, მამაო? ზევ ქართულ თეატრ-
ში წარმოდგენაა და მე იქ დავიძახებ: იმ გო-
მართელს რაც მიუქარავს, სულ ტყუილია
მეთქი.

— მაგთი არა გამოვარა, შენვე სასაცი-
ლოთ ავიგდებენ.

— მაშ წერილი დავწეროთ და გაზეთში
დავბეჭდოთ, ან სამართალში გამოვიწვიოთ.

— არც წერილს დავბეჭდოვებ და სა-
მართალი ჩვენვე გაგვაბეჭდუნებს.

— რატომ არ დაბეჭდოვებ, ან რისთვის
გაგვაბეჭდუნებ!

— იმისთვის, რომ ყველამ იცის, მეც და
შენც სამშობლო ორივეს ფეხებზე გკილია.

— წიწილასავით თავს წავაგდებინებ იმ
არამხდასა! გაისვა ხანჯალზე ხელი რევაზმა.

* *

— არა, ყოველ ჩემ მოლოდინს გადაა-
ქარბა, ყოველ მოლოდინს! ცხარობდა რედაქ-
ციაში ანა. ეგ რომ ნელა ნელა გადაჩოჩდა
მთავრობის მხარეზე, ამას ქე ვხედავდი, მაგრამ,
თუ ისე გათვალამდა ურცხვით ფეხ-ქვეშ, რასაც
წინეთ თავკანს სცემდა, სწორედ არ მოველოდი.

— გამართელი რომ ბურჯუა იყო, ეს მე
დიდი ხანია ვიცოდი. დაუმატა ახალგაზრდამ.
მდგომარეობა ქმნის შეგნებს და არა შეგნება
მდგომარეობას. გამოკომუნლა გოლოვინის პროს-
პექტზე და იმხის: სოციალისტი ვარო, ვის
ატყუებს, ვის?

— არა, ყველაფერი შეიძლებაოდა, მაგ-
რამ ვახ. ორბელიანის ქება, გენერალ-მიიორის
ქება მას არასოდეს არ უნდა ეპატიოს, განა-
გრძო ანმა.

— გამართელმა თავისი ფიზიონომია სრუ-
ლათ გამოარკვია. ის აქამდე თუ ბურჯუა იყო,
ახლა ნამდვილი არისტოკრატია, სამშობლოს
მოტრფიალი! კომუნისტურ მანიფესტში პირ-
დაპირ არის ნათქვამი: пролетарин не имѣ-
ютъ отечества-ო და ის გადმომდგარა და

იძახის: სამშობლო უნდა გვიყვარდესო! როგორც იქნა, მოვარჯულეთ ჩვენი მუშები და შევეგონეთ, რომ სამშობლო მათ არ გააჩნიათ, რომ სამშობლოს სიყვარული თავადების ხელობაა, და ახლა ის გამომდგარა და იძახის: სამშობლოს სიყვარული წმინდა მოვალეობათ უნდა დავისახოთო! ცხარობდა კაპასი ქალივით ახალგაზდა.

— არა, სადამდე მივიდა იმისი თავხედობა! სოციალიზმი უარპყოფს კერძო საკუთრებას, ის კი „ფონის“ ფურცლებზე ამტკიცებდა: ჩვენი ტერიტორია უნდა დავიცვათო! არა, როგორ მოგწონს? სოციალისტი ამტკიცებს: ჩვენი ტერიტორია უნდა დავიცვათო?! ბრახმოურული განავრძობდა ანი.

— სწორედ რეაქციონერი გახდა, შავრაზმელი. სოციალისტისათვის ტერიტორიის საკითხი არ არსებობს. ჩვენში გადმოასახლებენ რუსებს, არა? ჩვენც რუსეთში ვადასახლებდებით! ამით ეროვნული საზღვრები ნელა-ნელა წაიშლება და დამყარდება ინტერნაციონალური სოლიდარობა მშრომელ კლასისა! როდესაც ჩვენი თავადები მამულებს რუსებზე ჰყიდიან, ამითი ისინი—რასაკვირველია, შეუვნებლათ—ინტერნაციონალურ სოციალიზმს ემსახურებიან და გომართელი-კი გამომდგარა და იძახის: ტერიტორია უნდა დავიცვათო, სამშობლო უნდა გვიყვარდესო! სამშობლოცა და ტერიტორიაც ორივე ფეხებზე მკიდია! ორივე რეაქციონერების ავლა-დიდება! სოციალ-დემოკრატს კი, ჭეშმარიტ სოციალ-დემოკრატს სამშობლო არ გააჩნია! კაპასობდა ახალგაზდა.

— დავჯდეთ და წერილი დავსწეროთ! დეე ყველა ამხანაგებმა ვაიგონ, რა ვებატონიკ ბრძანდება გომართელი! წარმოსთქვა ანმა ორივემ წერილი დასწერეს, საცა გომართელი სამშობლოს სიყვარულის ქადაგებისათვის მიწასთან გაასწორეს.

მეორე დღეს პრაპორშნიკმა რევანმა რომ ვაზეთები ვადათვალიერა, ჯერ თავისი თავი სიხარბში ეგონა, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ ყოველივე ცხადი იყო, სიხარულით ხტუნვა დაიწყო, გაზეთებს ხელი დაავლო და გაეჭანა არქიმანდრიტთან.

დღისთეოსი ამდროს აჩინა და ახალგაზდას წერილებს ჰკითხულობდა და სიამოვნებით წვერებზე ხელს ისვამდა.

— ამოგვეს თუ არა, გომართელიო, შენმევე ამხანაგებმა სამშობლოს სიყვარულის ქადაგებისათვის? ასე მოუხდება შენისთანა რეაქციონერს. მეოცე საუკუნეში სამშობლოს სიყვარულის ქადაგება! სიამოვნებით წარმოსთქვამდა არქიმანდრიტი.

— მამა დღისთეოს, მამა დღისთეოს! შე მოვარდა რევანში და მიაჩნევა გაზეთები:

— წაიკითხე, წაიკითხე!

— წაიკითხე, წაიკითხე! მიუგო არქიმანდრიტმა და მიუთითა ვაზეთებზე. ორივემ ვაბრწყინებულის თვალებით ერმანეთს შეხედეს, შეაჩერებდნენ და ტუბილი ხითხითი აუვარდათ.

— არა, როგორ მოგწონს, პა! ხითხითებდა რევანში.

— გომართელს რომ ჩვენს შესახებ რაღაც წამოერომა თეატრში, სწორედ ძალიან გულდაშვარი ვიყავი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ საქმავათ არაინ არ გამოიდებდა თავს და თურმე ქომაგები ჩვენც კარგები გვეყოლია! წარმოსთქვა დღისთეოსმა.

— ნეტავი გამაგებია, ვინ არიან ეს ჩვენი დამცველები „ანი“ და „ახალგაზდა“, რომ ერთი პირი ვადუეკოცნო და ზორბათ ვაქეიფო! დაიწყო რევანმა.

— ახლა, რევან, თამამად შეგიძლია სთქვა, რომ სამშობლო ფეხებზე მკიდია და თუ ვინმემ გიკეინა, ამით სეირს ანი და ახალგაზრდა გაყურებიგენ.

— მოდაა ყველაფერი! წინეთ სამშობლოს სიყვარული იყო მოდა, ახლა კი არც ერი ვანათლებულ და შეგნებულ ადამიანს სამშობლო აღარა სწამს, როგორც ანმა და ახალგაზდამ დამიმტკიცეს. ეტყობათ, დიდი ნასწავლები უნდა იყონ ორივე. ამბობდა რევანში.

— იცი, რევან! ამ წერილებმა სწორედ კარგ გუნებაზე დამაყენეს. ღმერთმა გაახაროს ამითი დამწერი. დღეს მოდი ერთათ ვისაღილოთ, ანისა და ახალგაზდას სადღეგმელო ვადავკრათ!

— ვადავკრათ! ჩვენი თანამოაზრე და ქომაგი ღმერთმა ამრავლოს, მტერი კი მოსპოს! დაუკრა კვერი რევანმა.

დალიეს თუ არა სადღევნელო რევაზმა და დოსითეოსმა, არ ვიცი. რატომაც არ დაღვედნ სამშობლოს გამყიდველნი იმათ სადღევნელოს, ვინც სამშობლოს უარყოფს და სამშობლოს სიყვარული დიდ სირცხვილად მიაჩნია? მაგრამ არ იკითხავთ, თუ მუშა რასა შერებოდა ამ დროს? რასა შერებოდა?! წინეთ ის მშვენიერად ასრულებდა ქურის საქმეს და რასაც ვენერალი-ამხანაგები ჩასძახებდნენ, იმასვე ამოიძახებდა ხოლმე. დღეს კი ათასწინ ერთხელ სხვასაც ამოიძახებს ხოლმე. მაგრამ ეროვნულ კითხვაში ეს ისევ სამავალითო ქურია.

ივ. გომართელი



ჩემი უენიშვნები

4

რაცა ვთქვით ამას წინათ „დროების“ ფურცლებზე შესახებ დიქციისა და დეკლამაციისა, იგივე შეიძლება ითქვას ჩვენებურ მსახიობთ „თამაშზე“ — მიხვრა-მოხვრაზე, საქციელზე. როგორც სიტყვით გამოთქმა, ისე ეს უკანასკნელიც ჩვენს სცენაზე უზუნებოა და არა ჩვეულებრივი.

უბრალო თავის დაკვრაც, ხელის ჩამორთმევაც, ადგილიდან გადასვლა-გადმოსვლა, დაჯდომა და ადგომა რაღაც სხვაანირია, თითქო არა ადამიანური; მეტიც მეტი ხელოვნურია და თეატრალური. ჭამაც კი არ ვიცი, ხერიანი ჭამა სცენაზე. ამ დროს როდესაც უბრალო რუსის მსახიობს შეუძლია მთელი სცენა ჭამაში გაატაროს და ამითი არც სიტყვები დაუკარგოს ხალხს და არც ჭამის ილიუზუზა გაუქარწყლოს, ჩვენ ამას სრულიად ვერ ვახერხებთ. ჩვენ თითქო სადღაც მიგვეჩქარება, გვერიდება, რომ ავერ მეორე მსახიობი უნდა გამოვიდეს მალე და არ დაეავიანოთო. ამიტომაც ერთორ ლუქმას გავუსვამთ და შემდეგ კი ვჩერდებით, რომ რეპლიკა დროზე მივაწოდოთ. ილიუზუზა! სადილისა, საუზმისა თუ ვახშისიკიქრება, მაყურებელი ცხადია ატყობს, რომ აქ როდესაც „თვალთ-მაქცობენ“, იცის რომ სინამდვილეში ესენი არა ხდება ხოლმე. მე ვამ-

ბობ დამწვიდებულ „პურის ჭამის“ გამოსახვაზე უნდა ნახოთ მაგ. მოსკოვის სამხატვრო თეატრში, როდესაც, ვთქვით, ჰაუპტმანის „სულით იბოლნი“-ს წარმოდგენაა, იქ არის ერთი ადგილი სადილობისა. სრულიად ვერა გრძნობა, რომ თეატრში ხართ; სადილია, როგორც სადილი: ლუქმა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, შემდეგ ისევ ლუქმა, თან ხმაურობა, მხოლოდ იქა-იქ კი, დრო-გამოშვებითი. მაგრამ ყველაფერი ესა-ისე ჩვეულებრივად ხდება, ისე ბუნებრივად, რომ მართლა სრულს თავის დაეწყებას ეძლევი. ან და გახსოვთ თბილისში, არ ვიცი ვისი დასი იყო, რუსები „Дѣти Вашиюшина“-ს წარმოდგენაზე? როგორი იყო მათი სადილობა? ან და კიდევ იაფორსკაიას დასი, წრულს ქუთაისს ენახე, აბა რა დასი იყო? მეტათ სუსტი, მე მგონი. მაგრამ ნახეთ როგორ ჩაატარეს ზაბოლსკაიას პიესა „Ихъ четверо“? განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ქალი და მისი საყვარელი ვაშლის ჭამაში არიან! ბუნებრივი იყო, რეალური.

ეს ჭამა.

მაგრამ, როგორცა ვთქვი, აბა სხვა რომელ მდგომარეობაში ვართ სცენაზე ბუნებრივნი?

მერე კიდევ ეს სიჩქარე.

ჩვენ სრულიად არ ვიცი თუ პუნით თამაში რასა ჭვიან. იმიტომ რომ ისეთ ატმოსფეროში ვართ აღზრდილნი... თორემ როგორ დავიჯერო, ის კაცი, რომელიც ცხოვრებაში ძალიან ბუნებრივია—ისე, როგორც მას შეუძლიან—დადის, ჯდება, ლაპარაკობს, სცენაზე თავს შებოქლიათ გრძნობდეს და ვერც ერთს ზემოთქმულს ბუნებრივიათ ვერ ასრულებდეს. მე არას ვამბობ სხეულის განსაკუთრებულ ღამზ მიხვრა-მოხვრაზე, პლასტიკაზე, ეს კოველივე ჩვენი სხეულის გაუწრთენელობისა და მოუქნელობის ბრალია, არა გვაქვს კოდნა ტენიკური: მაგ. არ ვიცი თუ ფარკაობა, ცუცვაც უმეტესობამ, მაგრამ უბრალო, ადამიანური მიხვრა-მოხვრა ხომ გვაქვს! ხომ ვიცი ჩვეულებრივი, ჩვენებური საარული, ადგომა, დაჯდომა, თავის დაკვრა და სხვა. ყველა ამათ უნდა საზრისიანი გამოყენება, გონივრული მოხმარება სცენაზე. ისიც მართალია, შეიძლება არ გვენახოს პერსონაჟები და ლორდები, რო-



მელთა გამოსხვაც ხშირად მოგვდის ხოლმე, მაგრამ ერთი რომ არც ისე ძნელია ზოგიერთ „არისტოკრატიული მანერებისა და ქესტების“ შესწავლა და მეორე უბრალო და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა, რამდენათაც ვიცი, უმთავრესი თვისებაა საუკეთესო არისტოკრატებისა. მაგრამ ვე კიდევ არაფერი, რომ არისტოკრატები კარგა ვერ გამოვსახოთ. ზოგჯერ თვით მაგ. სარდაფში, ან ბაღში სადმე მოქიფივებიც კი ვერ დავვისურათებია. სუფრასაც ისე ვერ ვუხედვართ, ქიქაც კი რიგინად ხელში ვერ გვიქირავს, ეს მართლაც ძალიან სასაცილოა, რომ სხვაფრივ სამწუხარო არ იყოს. მაგრამ განა მართლა ავრე მიუწოდომელია ზემოთქმულთა მოწესრიგება და გარელება?

ჩემის ფიქრით არც ისე ძნელია, მხოლოდ მუშაობის სისტემას უნდა შეცვლა.

აქამდის ცრუ და ყაბღ ატმოსფეროში ვიყავით გამოწყვედულნი. მე ამით სრულიადაც არ მინდა ისა ვთქვა, რომ ჩვენს ღიდად ნიქიერ მსახიობებს, ჩვენს პიონერებს და სცენის დამფუძნებელთ არ მიენიოთ მართალი და სწორი გზა ხელოვნებისა, მაგრამ საქმეც სწორედ მაგაშია, რომ მათ ხელთ მხოლოდ ამ გზათა ჩვენება იყო, ვაკაფვა და გაწაღდა ამ გზისა, თორემ სკოლის შექმნა, მიმდინარეობის გაჩენა არ ძალ-ეღვათ. ამიტომაც სასცენო ხელოვნებაში თითქმის ყველა მიმართულების წარმომადგენელი გვაყავს, მაგრამ მაინც არც ერთი მიმართულება და განსაკუთრებით რეალიზმის, ისეთი, როგორსაც თანამედროვე სასცენო ტენზიკა მოითხოვს, არა გვაქვს განვითარებული. ჩვენ თითქო ყველა მიმართულებათა ხაოსში გამოვეწყვიდებით ღ ჯერ-ჯერობით ვერც ერთი კი ვერ დავამკვიდრეთ საფუძვლიანად.

სხვათა შორის ეს იმის ბუბლიც არის, რომ აქამდის არავინ ანსამბლს, საერთო მწყობრს ყურადღებას არ აქცევდა. იყვენ გოლიათი, მაღალ-ნიქიერი არტისტები და ჩვენც მხოლოდ იმათ მოარფულობას შევადგენდით. ამიტომაც მაგ. ეჭპარბდით, თავის თავს არ ვაკვირდებოდით სცენაზედ, პაუზებსა და დეტალებსაც ყურადღებას არ ვაქცევდით. რა დროს ვე იყო ადგარ ის უნდა გამოსულიყო. წარმოდგენის ივროს რამდენჯერ გაუგონია ჩვენებურ მსახიობს კულისებში უფროს და დღი როლის მო-

თამაშე მსახიობისაგან: -- ЧТО ОНИ ТАМЪ ДѢЛАЮТЪ, ან ЧЕГО ОНЪ ТАМЪ ВОЗИТСЯ! ეს იმ დროს, როდესაც უფროსი, ან დღი როლის მოთამაშე მსახიობი უცდის თავის გასვლას და სცენაზე კი რომელიმე უფრო მდარე მსახიობს ან მსახიობთ აქეთ რამე სცენა. ვინ აცლიდა ამათ! ამიტომაც ჩვენი სცენა მუდამ ცუდად მოწყობილ სავატროლო წარმოდგენის ბინა იყო. ერთი ან ორი იყო მუდამ ასე თუ ისე თავის აღწვს და სხეები კი? სხეები... რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ სხეების ამოფხეკა პიესებიდან! რა გგონიათ? ზოგჯერ ფხეკდენ კიდევ ზოგ-ზოგს...

ასეთმა მდგომარეობამ კი ჩვენს მსახიობებს შესძინა ზემოთ მოხსენებული დიდი ნაკლი — სიჩქარე. ამიტომაც არის, ჩემის ფიქრით, რომ ჩვენი მსახიობი ხშირად თავს უხერხულადა გრძნობს სცენაზე. რალაც შებოკილია, ფრთა-გაუშეული. სხვაგან ყოველმა უბრალო მსახიობმა იცის, რომ, რაკი სცენაზე გავიდა, ის, რის უფლებასაც როლი აძლევს, შეუძლიან საესებით ისარგებლოს იმითი, ამისთვის ის არც აჩქარდება, არც აშჩატდება; მისი თავი, მისი მოსაზრება თან ახლავს და ცდილობს, რომ ყოველი მისი ნაბიჯი, მისი საქციელი რეალური იყოს, ბუნებრივი, ცხოვრებასთან დაახლოებული. და ეს კი იმიტომ ხდება, რომ იქ ანსამბლს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, უბრალო როლიც შექმნივებულია და გამოკვირებული. ჩვენ კი?...

შალვა დადიანი

(დასასრული იქნება)



ნაპაღის დუღუნი...

მიყვარს... მიყვარს... მე გამოურკვევი ნაკადის ჩქრალი, მისი იდუმალი, სევდიანი დუღუნი...

ობ! ღმერთო! რა არ იხატვის შიგ: მაში მოისმის რალაც მწუხარე და მგლოვიარებგერა, დაკარგვა ბედნიერებისა, — ერთხელ წასრულის და დაუბრუნებელის. გულის წიაღში სწუდება ეს მჭუნვარე სიმღერა და, ვით ზღაპრული ეოლოსის ჩანგი, რომელიც ზეფირის ოდნავ



მობერვაზე ნაზი, წარმტაცი მელოდიით ავსებდა მიღამოს, ისე ჩემი სულის სიმებიც ბანს აძლიერებდა და ეხმაურებოდა იმავე მწუხარე ხმით ამ სევდიან სიმღერას...

სოფლით დევნილი, ბედით მწარედ ანატირები, მისკენ მივეჩქარები, იქ რავედნიმე წამით მაინც თუ იპოვის სული სიმშვიდეს. როს დაღამდება, მწუხარის ზეწარში გაეხვევა სოფელი და არეს მკვდარი მღუმარება დაეპატრონება, მაშინ მხოლოდ იმავე ნაკადს ჩუმი ქვითინი, ყრუ გოდება თუ არღვევს ამ მუდროებას, რომელიც, ვით გლოვის რიდე, კლდით კიდემდე აწვევს ქვეყანას. იდაყვ-დაყრდნობილი ყურს ვუგდებ მას და სული ოცნების მხარესკენ მიფრინავს, მოგონებათა მკრთალნი აჩრდილნი თავს დამკომკომებენ და თვალთავან ლომობიერების მღუმარე ცრემლი მდის ხოლმე. ეს სევდიანი დღეღუნი... არ არის გულ-ჩათხრობილი, სასოწარკვეთილი მოთქმა,—მასში გამოსკვივის იმედი. დიახ, ის არის ემბლემა ძლივისა, და მაროლაც ამ მძიმე ჟამს, როს დაბატრონება სოფელი მწუხარება და ფასკუნჯის ვრთებით დაფრინავს ნალველი. როს გარეშემო ყველგან და ყოველს სძინავს. ის კვლავ ბუტბუტებს და მალე მისი მწუხარე დღეღუნი ბრძოლის ყიყინად გადაიქცევა. მეც ვგრძნობ, რომ სოფელი და ადამიანი ცოდვის მორევში ჩაეფლა და ოდესღაც წმინდა, ვით კამკამა წყალი ამ ნაკადისა, ადამიანის გული ახლა ბორბორების სავანედ გადაქცეულა... მაგრამ ფენიქსი... კურთხეულ იყოს მისი შემოქმედი, რა მაგონდება, სევდა გადივლის და ნალველიც თავს მანებებს, მრწამს, რომ ადამიანი, როგორც ფენიქსი, კვლავ განააღდება: „მრწამდეს— და ცხონდებიო“ და მეც მრწამს...

ოხ, რა ტკბილია, როს რწმენა სძლევეს ურწმუნობას, დღესასწაულობს გამარჯვებას... მიყვარს... მიყვარს მე დღეღუნი ნაკადისა. სიტყვით არ ძალმიძს გამოვთქვა. რასაც გრძნობს გული, ადგუნებული ღეთიურის ალით! მშენიერიდა და წარმტაცი მოთქმა ნაკადის...

ბ. ტაბიძე



* *

ტყე იმოსება,
იციის ველი,
ვარდი იშლება—
ნამისგან სველი;
წყარო ჩუნჩუნებს,
ლაღობს წყლის პირი...
— შენ რა გაწუხებს,
შენ რასა სტირი?...
კ. კვიციანი

დასავლეთ - ევროპულ მოდერნიზმში ძირითადი მოტივები

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 18-20)

IV

პირველ ორი წერილიდან მეოთხევილი აშკარად დანახავდა, რომ მოდერნიზტებმა სინამდვილე გასცვალეს ოცნებაზე, თამაშზე, ხელოვნებაზე. ბოლოს უარყვეს სიცოცხლე და მის მაგიერ სიკვდილი წამოაყენეს.

ამგვარად, ლტოლვა რეალურ სინამდვილესგან—აი, მოდერნიზმის ლეიტმოტივი.

მეტი არ იქნება გამოაშკარავდეს ის ფსიხოფიზიკური ინადავი, რომელზედაც აღმოცენდა ასეთი, მართლაც თავისებური, მსოფლმხედველობა.

რომელს გაბატონებულს კლასსაც უნდა ეკლთვნოდეს თანამედროვე ინტელიგენტი, მისი ფსიხო-ფიზიკის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს გადამეტებული მგრძნობიერება. ეს თვისება გამოწვეულია თანამედროვე დიდ ქალაქის აურ-ზაურისა და იმ სოციალურ-ეკონომიურ წყობილებით, რომლითაც ხასიათდება განვითარებული კაპიტალიზმი. ეს წრესგადასული მგრძნობიერება აიძულებს ინტელიგენტს—ანგარიში გაუწიოს გარე-ცხოვრების ყოველსავე მცირე გავლენას. ესევე წრესგადასული მგრძნობიერებაა მიზეზი, რომ თანამედროვე ინტელიგენტი უსათუოდ დამოკიდებულია ყოველდღიურ სინამდვილის ათასგვარ შემთხვევითისა და წარბაველ გავლენისაგან.

„სიციცხლე—ამბობს ლორდ ჰანრი უა-
 რლდის „ლორდიან გრეის სახე“-ში—ნერვების
 საკითხია. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ,
 რომ უზიფთაოდ ხართ, ძლიერი. ხოლო შემ-
 თხვევითი ნაკვითი საფერავისა ოთახში ან მო-
 წმენდილ ცაზე, სურნელება, რომელიც წინად
 გიყვარდათ და ახლა რაღაც საოცარ მოგონე-
 ბათ აღძრავს თქვენში, მივიწყებულ პოემის
 სტრიქონები, რომელნიც ხელახლად იპყრობენ
 თქვენს ყურადღებას, მუსიკალური ფრაზა, რა-
 მელსაც თქვენ აღარ უკრავთ—ყველაფერს
 ამას გავლენა აქვს თქვენს სიციცხლეზე“.

ასევე სჯის როდენბახის რომანის „სიცი-
 ცხლეს დემატება“-ს გმირი—ხუროთ-მოძღვარი
 ბორლიუტი. მისი აზრით, ჩვენი ბედი დამო-
 კიდებულია „ერთს სიტყვაზე, ერთს დეტალზე“;
 ხშირად შემთხვევით შენატყუარი რომელიმე
 შეხედვა გვაიძულებს მტკიცე გარდაწყვეტილე-
 ბის შეცვლას.

ეს გადამეტებული მგრძობიერება მიუზი
 რომ თანამედროვე ინტელიგენტი ქედს იხრის
 ათასგვარ წარმავალ, შემთხვევით მოვლენის
 წინაშე, ბრძოდ ემორჩილება წარმავალ ზრა-
 ხვათ და გულის ნადებს, ვერ იკრფეს ძალას
 ყოველდღიურ სინამდვილის აუტანელ უღელ-
 თან საბრძოლველად. ყოველსავე ამას შედეგად
 მოსდევს თანამედროვე ინტელიგენტის ძრწოლა
 სინამდვილის წინაშე.

ოლა განსონი თავის კრებულის „Sensiti-
 va Amorosa“-ს ერთს მოთხრობაში ხატავს თა-
 ნამედროვე ახალგაზდა ადამიანის სურათს.
 ოლა განსონი დასძენს, რომ ამ ადამიანის ყო-
 ველსავე განცდას სარჩულად უძევს ნახევრად-
 შეგნებული შიში სინამდვილისა.

ეს სამარცხვინო შიში, ჩვენს აგებულიო-
 ბასთან შეწყვეტილი, ეს საშინელი პარაზიტი
 სდებს კევრცხებს და მრავლდება; ეს უძლე-
 ურება, ისევე მგრძობიერი, როგორც ბასრ
 იარაღით გაპობილ ქრილობის შთართოლვაგრე
 ნაკვინი, ოლა განსონის საბუთიანი აზრით,
 ფიზიოლოგიური მოვლენაა, სისხლისა და ნერ-
 ვების ავადობის პროცესი.

ნერვების ამ ჰიპერტროფიიდან, ამგვარ
 მგრძობიერებიდან გამომდინარეობს თანამე-
 დროვე ინტელიგენტის შერავე დამახასიათებელი
 თვისება: ინსტინქტიური შიში, ბრძოლა ადამი-

ანის წინაშე. თანამედროვე ინტელიგენტი ელ-
 ტვის მეგობრობას, სიყვარულს, მას ეშინია ამ
 გრძობისა და განცდისა, დარწმუნებულია, რომ
 ამ გრძობით გატაცებული, იგი უნდა გაი-
 თქვიფოს მეგობართა და საყვარელ ადამიანთა
 ხროვაში. თანამედროვე ინტელიგენტს ეშინია
 ადამიანთან ხანგრძლივისა და მტკიცე კავში-
 რისა და ხშირად ეს შიში პატოლოგიურ სე-
 ნის სახეს იღებს. სტრინდბერგის მოთხრობის
 „მარტაშელის“ გმირი ადამიანთან მძძილზე
 —ტელეფონით—ლაპარაკს არცობს, „ინცობს“
 სრულიად უცნობ ხალხს. აი, რას მოკვთო-
 ხრობს ეს გმირი: „ჩემს ქვეშ, მეორე სართუ-
 ლში, ცხოვრობს ოთხი ოჯახი თავის ბედის-
 წერით. მე არც ერთს მათგანს არ ვიცნობ და
 არც ვიცი, რა სახისა არის ეს ხალხი. მე ვხე-
 დავ კარგებზე მხოლოდ მათსახელებს და იმ გა-
 ზეთების საშუალებით, რომელიც გამოჩრილია
 კარებს ქვეშედან, დაახლოვებით ვიგებ ვისი
 სულიერნი შვილინი არიან“. ამგვარ ნაცნობო-
 ბითა და ურთიერთობით სტრინდბერგის მარ-
 ტაშელი მეტად თავისუფლად და მშვიდად
 გრძნობს თავს. „არცა ვისი აზრი იხილავს
 ჩემს აზრს, არცა ვისიმე შეხედულება და ჟინი
 მტანჯავს“.

ხანგრძლივი კავშირის იგივე შიში უკარ-
 ნახებს თანამედროვე ინტელიგენტს, ერიღოს
 ასეთს კავშირს ქალებთანაც: თანამედროვე ინ-
 ტელიგენტი ქორწინების ინსტიქტიური მოწინა-
 ლმდეგეა. ეს წინააღმდეგობა რომელიმე პრინ-
 ციპიალურ მოსაზრებათა შედეგი არაა, მისი
 საფუძველი ადამიანთა შორის გათქვევის იგივე
 შიშია. პირველი გრძობა, რომელსაც განიც-
 დის სატრფოს ჩამომორბებული გეორგ ფონ-
 ვეგენტინი — ის ისევე მარტაშელია. შემდეგ
 იგი ხელდება ანნას, უკავშირდება მას... და ნა-
 ნობს: რატომ ანნა სხვას არ ეყუთენის! მაშინ
 ხომ მათ შორის კავშირი „თავისუფალი“ იქმ-
 ნებოდა, არ გამოიწვევდა რაიმე პასუხის მე-
 ბლობას... და ვერგენტინი თავს ანებებს ან-
 ნას, რომ კვლავ მარტაშეშენილმა მოიპოვოს
 თავი თვისი.

ასეთივეა შნიცლერის მეორე გმირი მხა-
 ტვარი იულიანე ფიტცნერი. საყვარელი არსება
 მის ვნებათა დღელვას ემორჩილება. იგი
 ბრძა ბედის ამარად სტოვებს საბრალო ქალს



რადგან სწადია კვლავ იცოცხლოს აწინდელი თავისუფალი უღარდელი, სიცოცხლით.

სინამდვილიდან ოცნებისაკენ მისწრაფება, გადაპარბეული მგრძნობიერების-მიერ გამოწვეული სურვილი მარტალდშინისა და მასთან ერთად ფსიხიური უძლურება თანამედროვე ინტელიგენტის ამგვარად თავის ადვის მძლავრი სურვილია. ასევე უყურებდა ყოველსავე ამას მოადერნიშის დიდებული ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე.

თანამედროვე ინტელიგენტის წრესგადასულ ნერვიულ და მგრძნობიარე ხასიათით არის გამოწვეული მისი მესამე ფსიხიური თვისება— პასიობა. თანამედროვე ინტელიგენტმა კიდევ რომ მოისურვოს შეტურდეს სიცოცხლის მორევში, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ბრძოლასა და აზრთა დღევაში, არ შეუძლია: იგი უხასიათო აღამიანია. ინტელიგენტურ სულის მკოდნე ნიცშე ამ უხასიათობას საყოველთაოდ ავადმყოფობად სთვლიდა. მართალია, ამ ავადმყოფობის მიზეზს იგი არ ეძებდა თანამედროვე სოციალურ წყობილებაში. მისი აზრით, ეს ავადმყოფობა წარმოიშვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საზოგადოების დამახასიათებელ ერთ მოვლენის ნიადაგზე—კლასთა და სქესთა აღრევის ნიადაგზე. თვით ისეთი პრინციპები, როგორცაა ხელოვნება და მშვიდი ფილოსოფიური ქვრეტა, ნიცშეს აზრით, ნილაბ-აფარებული უხასიათობაა, მართლაც და ახალი ლიტერატურა მთლად გამსჭვალულია ნევრასტენიულ უხასიათობით. ჰაუბტმანის დრამები განა არ წარმოადგენენ გაუტანელ, მტკიცე ხასიათს მოკლებულ ნევრასტენიკების საავადმყოფოს? მეტერლინკის პიესების „პატარა, უბადრუკი არსებანი“ განა არ წარმოადგენენ განსახიერებულ უხასიათობას? ეკვი არაა, წარმოადგენენ, ვინაიდან მთელი მათი ენერჯია ბენდისფრის მიმართ მუდარასა ან წყევა-კრულვას ეღვევა. თანამედროვე ინტელიგენტი შორიდან შესტკერის სიცოცხლეს იმიტომ კი არა, რომ არ უნდა მონაწილეობა მიიღოს საზიზღარ სინამდვილესთან ბრძოლაში, არამედ იმიტომ, რომ მისი პასიური ხასიათი ენერჯიას, სიცოცხლის წყურვილსა ჰკლავს.

განა ჰოფმანსტალს არ უყვარს სიცოცხლე?! ხშირად მისი ვნებანი მქვერმეტყველება ქებათა-

ქებას უძღენის ბუნების სილამაზეს, ხშირად მისი სიტყვები ჰიმნია, დედის ძუძუს მიმართ მიძღენილი; ხშირად იგი ლოცავს „სიცოცხლის საჩუქარს“: სიხარულის ყვაილსა და მწუხრების ცრემლსა. ჰოფმანსტალი არაა პესიმისტი. აგრამ მთელი მისი პოეზია მხოლოდ კრისა მოწმობს: ჰოფმანსტალი სიცოცხლისთვის არაა შექმნილი, მაგრამ არც სიცოცხლეა ჰოფმანსტალისათვის შექმნილი. ჰოფმანსტალისა და მასთან ერთად თანამედროვე ინტელიგენტის ეს პასიობა— გრძნობის ჰიპერტროფიისა და ნების, ხასიათის ატროფიის შედეგი— ჰქმნის რეალურ სინამდვილისგან ლტოლვას და ხელოვნურ ხატებაში ამ სინამდვილის ძიებას. „ხელოვნება—ამბობს უაილდის ლორდ ჰანრი —ათავისუფლებს აღამიანს სიცოცხლის წამებათაგან“. ჩვენის მზრთ, შეგვიძლია ვსთქვათ: ხელოვნება ათავისუფლებს აღამიანს სიცოცხლის თვით პრაცესისაგან.

გადამეტებული მგრძნობიერება აიძულებს თანამედროვე ინტელიგენტს შეიწყნაროს ქვეყნიერება არა მთლიან ერთეულად, არამედ განცალკევებულ და წარმავალ ხატებათა რიგად. ეს რიგი იწვევს ბრწყინვალე და მასთან ხანმოკლე გრძნობათ, გულისნადებსა და შემეცნებათ. ინტელიგენტი თვისდა შეუმჩნეველად, თავის პირად განცდათ სძენს რეალურ მნიშვნელობას. ხოლო ობიექტიური სინამდვილე ეჭვენება მას პირად განცდათა სუსტ და ბუნდოვან სახედ.

თანამედროვე ინტელიგენტი უარყოფს მეტაფიზიკას, რომელიც ამა თუ იმ შემეცნებათა ნიადაგზე აშენებს დიდებულ შენობას— სამყაროს. თანამედროვე ინტელიგენტი გულისხმად ყოფს ფსიხოლოგია—სულის სუბიექტიურ განცდათა შესწავლა. მეტაფიზიკე საუკუნის დასასრულის გამოჩენილი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე უპირველესად ყოვლისა იყო ფსიხოლოგი: იგი ითვალისწინებდა თანამედროვე სულის „სიღრმესა და მწვერვალს“, დიდის სიამოვნებით აპობდა ანალიზის დაუნდობელ დანით თანამედროვე სულის მიჩქმალულ, ფარულ ადგილებს. საზოგადოდ, „გრძნობათა ანალიზი“ ფილოსოფიურ აზროვნების ქვეყუთხედ საკითხად შეიქმნა(მახი).

თანამედროვე ინტელიგენტი რეალობად მხოლოდ თავის გრძნობათა და გულის ნადე-



